სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის
2025 წლის 18 ივლისის N02-03/05 ბრძანების
დანართი N1

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს
საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდგომში -,,მაუწყებელი”) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახური (შემდგომში - „სამსახური“) წარმოადგენს მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის საქმიანობის წესი და კომპეტენციის ფარგლები განისაზღვრება წინამდებარე დებულების შესაბამისად.

1.2. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს მაუწყებელს და ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორისა და მაუწყებლის დირექტორის მოადგილეების წინაშე.

1.3. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, საქართველოს კანონებით, მაუწყებლის დებულებით, მაუწყებლის დირექტორის სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებით და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

1.4. ამ დებულებით გათვალისწინებული გადაცემა (პროგრამა) გულისხმობს სატელევიზიო/რადიო გადაცემას (პროგრამას).

მუხლი 2. სამსახურის მიზანი და ამოცანები

2.1. სამსახურის საქმიანობის მიზანია თითოეული სატელევიზიო და რადიო საავტორო-შემოქმედებითი გადაცემა იყოს რაც შეიძლება საინტერესო, ხარისხიანი და დასმული ამოცანის/პრიორიტეტების შესაბამისი.

2.2. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) მრავალფეროვანი, საინტერესო და მაუწყებლობის პრიორიტეტების შესაბამისი შინაარსის სატელევიზიო და რადიო საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების შექმნის უზრუნველყოფა;

ბ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების მაღალი ტექნიკური ხარისხის, რეჟისურის, ვიზუალის, ხმის უზრუნველყოფა;

გ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების დროული მომზადების უზრუნველყოფა და ვადების სწორი მართვა;

დ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების მრავალფეროვან, აუდიტორიისათვის საინტერესო თემებზე მომზადების უზრუნველყოფა;

ე) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემებისათვის მაღალი ხარისხის, პრიორიტეტების შესაბამისი სცენარის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფა;

ვ) საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში სარედაქციო ბალანსის, ობიექტურობის და ეთიკის ნორმების დაცულობის უზრუნველყოფა.
ზ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემებისათვის საორგანიზაციო საკითხების სწორი დაგეგმვის უზრუნველყოფა;
თ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების მიმდინარე საორგანიზაციო სამუშაოების მაღალი ხარისხით განხორციელების უზრუნველყოფა;
ი) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით გამოვლენილ გადახრებსა და პრობლემებზე დროული რეაგირების უზრუნველყოფა;
კ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სცენარების შექმნისა და განვითარების საჭიროებების გამოვლენა;
ლ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემებისათვის მიმდინარე რეჟიმში შესაბამისი სცენარის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფა;
მ) სცენარის შექმნის სტანდარტების, მიდგომების და მეთოდოლოგიების დახვეწა/განვითარება და სწავლება;
ნ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების მომზადებისათვის საჭირო მკაფიო ვადების განსაზღვრა და საჭიროებისამებრ კორექტირება;
ო) მიმდინარე რეჟიმში თითოეული საავტორო-შემოქმედებითი გადაცემის წარმოების ვადების მონიტორინგი;
პ) ვადებთან დაკავშირებით შესაძლო და დამდგარი გადახრების გამოვლენა და დროული რეაგირების უზრუნველყოფა;
ჟ) ავტორებთან ურთიერთობების განვითარების მოქმედებების დაგეგმვა, ახალი ავტორების გამოვლენა და მათთვის შეთავაზებების მომზადება;

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

3.1.სამსახურში შექმნილია დოკუმენტური ფილმების სტუდია და პრომოუშენის განყოფილება (ჯგუფი).

3.2.სამსახურში (გარდა დოკუმენტური ფილმების სტუდიისა და პრომოუშენის განყოფილებისა (ჯგუფისა)) დასაქმებულია:
ა) სამსახურის უფროსი;
ბ) შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერი;
გ) საორგანიზაციო მიმართულების მენეჯერი;
დ) ბრენდმენეჯერი
ე) სატელევიზიო გადაცემების წარმოების მენეჯერი;
ვ) გრაფიკოსი;
ზ) მემონტაჟე;
თ) უფროსი ოპერატორი;
ი) ოპერატორი;
კ) რეჟისორი/ავტორი;
ლ) წამყვანი;
მ) რეპორტიორი;
ნ) სოციალური ქსელ(ებ)ის მართვის სპეციალისტი (სოც. მედიის მენეჯერი);
ო) სტუდიური/არასტუდიური გადაცემების რედაქტორი;
პ) სტუდიური/არასტუდიური გადაცემების პროდიუსერი;
ჟ) სტუდიური/არასტუდიური გადაცემების ტექნიკური პროდიუსერი;

რ) სპორტული პროგრამების/მიმართულების პროდიუსერი;
ს) ხმის რეჟისორი;
ტ) რადიოს შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერი/მთავარი პროდიუსერი);
უ) რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების კოორდინატორი;
ფ) რადიოგადაცემების წარმოების მენეჯერი;
ქ) რადიოს მუსიკალური წამყვანი.

მუხლი 4. სამსახურში დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობა:

<u>4.1. სამსახურის უფროსი:</u>

ა) ავტორებთან ერთობლივად ერთიანი გეგმა-გრაფიკის შედგენა გადაცემების მომზადებაზე - რომელი ავტორი რომელ გადაცემაზე მუშაობს და რა პერიოდულობით უნდა მოხდეს გადაცემების ჩაბარება;
ბ) მაუწყებლის შემოქმედებითი გადაცემებისთვის თემატიკაზე იდეების გენერაციის და გადარჩევის პროცესის ორგანიზება;
გ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემებისათვის მომზადებული გენერალური თემატიკის განხილვა და განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციების გაცემა;
დ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემებისათვის სცენარების შექმნისა და განვითარების სამუშაოების დაგეგმვა და კოორდინაცია;
ე) საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში სასურველი სტუმრებისა და რესპოდენტების შერჩევასა და მათთან დაკავშირებაში ავტორებისა და რედაქტორების მხარდაჭერა;
ვ) საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში ობიექტურობის, დაბალანსებულობისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენისა და მათზე შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების ორგანიზება;
ზ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების ყოველდღიური საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვის პროცესების სწორად წარმართვის უზრუნველყოფა;
თ) შუალედური შედეგების გაცნობა, გადაცემების შერჩევითი ნახვა და განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციების გაცემა;
ი) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების რეჟისურისა და ვიზუალის შერჩევითი შემოწმება და განვითარებაზე რეკომენდაციების გაცემა;
კ) ახალი გადაცემების საცდელი ვერსიის მომზადებისათვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვასა და განხორციელებაში პროდიუსერებისა და რედაქტორების მხარდაჭერა;
ლ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების წარმოების პროცესების ვადების მართვა და პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე ოპერატიული რეაგირების ღონისძიებების კოორდინაცია;
მ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების მომზადების პროცესში ხშირად დაფიქსირებული პრობლემების გამოვლენა და რეაგირების გზების დასახვა;
ნ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების კეთების მიდგომებისა და მეთოდების პერიოდული გადახედვა და ახალი იდეების წარდგენა;
ო) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის საქმიანობის კოორდინაცია და აღნიშნულ სამსახურში დასაქმებული პირების სამსახურებრივი საქმიანობის კონტროლი;
პ) მაუწყებლის დირექტორის და მისი მოადგილეების სამსახურებრივი მითითებების შესრულება.

4.2. შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერი:

ა) აუდიტორიისათვის საინტერესო, აქტუალური თემების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

ბ) თემების მოძიების ჯგუფთან პერიოდული კომუნიკაცია აქტუალური თემების გამოვლენის მიზნით;

გ) გამოვლენილი თემების შესახებ თემატური რედაქტორებისა და ავტორებისათვის რეკომენდაციების გაცემა;

დ) სატელევიზიო საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სცენარის განვითარების საჭიროებების გამოვლენა;

ე) სატელევიზიო საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სცენარის შექმნასა და განვითარებაში თემატური რედაქტორების და ავტორების შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

ვ) სატელევიზიო საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სარედაქციო მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით დამონტაჟების უზრუნველყოფა;

ზ) სატელევიზიო საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში მოსაწვევი რესპოდენტების, სტუმრების შერჩევაში რედაქტორების მხარდაჭერა;

თ) სატელევიზიო საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების წამყვანების პროფესიული მომზადების მაღალი ხარისხის ზედამხედველობა და ხარვეზების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების გზების დასახვა;

ი) სატელევიზიო საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების შინაარსის პროფესიონალიზმის, ხარისხის განვითარების საჭიროებების გამოვლენა და წინადადებების მომზადება;

კ) სატელევიზიო საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში ობიექტურობის, დაბალანსებულობის და ეთიკური ნორმების დარღვევის საფრთხეების წინასწარი შეფასება და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

ლ) სატელევიზიო საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში ობიექტურობის, დაბალანსებულობისა და ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა და რეაგირების წინადადებების მომზადება;

მ) სატელევიზიო საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების შინაარსის დროულად, ვადებში მომზადების უზრუნველყოფა და პრობლემების შემთხვევაში მათზე ოპერატიული რეაგირების ღონისძიებების კოორდინაცია;

ნ) სარედაქციო საკითხებში ხშირად წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი და რეაგირების წინადადებების მომზადება.

ო) სამსახურის უფროსის სამსახურებრივი მითითებების შესრულება.

4.3.საორგანიზაციო მიმართულების მენეჯერი:

ა)ყოველთვიური გეგმების ფორმირება - რომელი გადაცემები მზადდება იმ თვის განმავლობაში, ვის მიერ და როგორია ჩაბარების ვადები;

ბ) თითოეულ ავტორთან მუშაობა დეტალური სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად შინაარსიდან გამომდინარე, ყველა გადაცემის გეგმების ერთიან ფორმატში მოყვანა და საჭირო რესურსების განსაზღვრა და განაწილება ამ გადაცემების წარმოებისთვის;

გ) საავტორო-შემოქმედებით გადაცემების პროდიუსერების, ოპერატორებისა და მემონტაჟეებისათვის დავალებების სწორად გადანაწილება;

დ) ყოველკვირეულად სამუშაოების შეთანხმება ავტორებთან/რეჟისორებთან, დეტალური მოქმედებების განსაზღვრა და საჭირო რესურსების გამოყოფა გადაცემის მომზადებისთვის;
ე) საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში მოწვეულ რესპოდენტებთან, სტუმრებთან დაკავშირებაში პროდიუსერების /ავტორების მხარდაჭერა;
ვ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სტუდიისა და გადასაღები გარემოს დეკორაციის, განათების, დიზაინის ტექნიკური მზადყოფნის უზრუნველყოფა;
ზ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების რეჟისურისა და მონტაჟის მაღალი პროფესიული ხარისხის უზრუნველყოფა;
თ) ტრანსპორტირებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების დროულად გადაწყვეტაში პროდიუსერების მხარდაჭერა;
ი) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების პროდიუსერების მხარდაჭერა საორგანიზაციო საკითხების მაღალი ხარისხით განხორციელებაში;
კ) ახალი საცდელი გადაცემების მომზადებაში საორგანიზაციო კუთხით პროდიუსერის მაქსიმალური მხარდაჭერა;
ლ) საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელების პროცესში პრობლემებისა და გეგმიდან გადახრების დროული გამოვლენა და დროული გადაწყვეტის უზრუნველყოფა;
მ) საორგანიზაციო საკითხებში ხშირად წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი და რეაგირების წინადადებების მომზადება;
ნ) სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება.

<u>4.4. ბრენდმენეჯერი:</u>
ა) სატელევიზიო და რადიო ბრენდის მახასიათებლების განსაზღვრა (ლოგო, დიზაინი, დასახელება.) და მათი განვითარების იდეების მომზადება;
ბ) დამტკიცებული ბრენდის მახასიათებლების შესახებ თანამშრომლების ინფორმირება;
გ) მაუწყებლის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით წინადადებების დამუშავება;
დ) სატელევიზიო და რადიო ბრენდის განვითარების მიმართულებით ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;
ე) ბრენდისათვის საზიანო ინფორმაციის დროული გამოვლენა და შესაბამისი რეაგირების გზების დასახვა/განხორციელება;
ვ) სამსახურის უფროსის სამსახურებრივი მითითებების შესრულება.

<u>4.5. სატელევიზიო გადაცემების წარმოების მენეჯერი:</u>
ა) შემოქმედებითი ჯგუფის მემონტაჟეების მხარდაჭერა მასალის საინტერესოდ და მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისად მომზადებაში;
ბ) ჯგუფთან პერიოდული კომუნიკაცია პრობლემური საკითხების/თემების გამოვლენის მიზნით;
გ) რედაქტორებთან, პროდიუსერებთან, ავტორებთან და რეჟისორებთან პერიოდული კომუნიკაცია, მონტაჟთან დაკავშირებული პრობლემების გამოსავლენად/გადასაჭრელად (არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად);
დ) მასალების სამონტაჟოდ მომზადების ზედამხედველობა და ხარვეზების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების გზების დასახვა;
ე) მემონტაჟეებისათვის დავალებების სწორად გადანაწილება და გადანაწილებული საკითხების შესრულების მონიტორინგი;

ვ) ყოველკვირეულად სამუშაოების შეთანხმება ავტორებთან, დეტალური მოქმედებების განსაზღვრა და საჭირო რესურსების გამოყოფა გადაცემის მომზადებისთვის;
ზ) ტექნიკური შეფერხებების დროულად გადაწყვეტაში მხარდაჭერა;
თ) მემონტაჟეების მხარდაჭერა საორგანიზაციო საკითხების მაღალი ხარისხით განხორციელებაში;
ი) ახალი საცდელი გადაცემების მომზადებაში საორგანიზაციო კუთხით მონტაჟზე, გრაფიკულ გაფორმებასა და შეფუთვაზე მაქსიმალური მხარდაჭერა;
კ) საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელების პროცესში პრობლემებისა და გეგმიდან გადახრების დროული გამოვლენა;
ლ) ხშირად წარმოქმნილი ან/და მნიშვნელოვანი პრობლემების ანალიზი და რეაგირების წინადადებების სამსახურის უფროსისათვის მიწოდება;
მ) სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება.

<u>4.6. გრაფიკოსი:</u>

ა) განახორციელოს სატელევიზიო პროდუქტის ვიდეომონტაჟი და გრაფიკული გაფორმება;
ბ) ვიდეომონტაჟის წესებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებით დაამზადოს ვიდეოკონტენტი ხარისხიანი გამოსახულებითა და ხმით;
გ) ვიდეოპროდუქტის შინაარსობრივი, მხატვრული, ან ტექნიკური ხარისხის გაზრდის მიზნით ვიდეოკონტენტზე პასუხისმგებელ პირს სისტემატურად შესთავაზოს საკუთარი მოსაზრებები და შეთანხმების შემთხვევაში განახორციელოს იგი;
დ) მოიპოვოს მონტაჟისთვის საჭირო დამატებითი ვიდეო, ფოტო და აუდიომასალა;
ე) დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ვიდეო პროდუქტის შემოწმებისას აღმოჩენილი შინაარსობრივი ან ტექნიკური ხარვეზი - შეცდომა, უზუსტობა;
ვ) შექმნას სატელევიზიო ეთერში, ვებ-პორტალზე, ვიდეოარქივში განსათავსებელი, ან/და საჯარო ინფორმაციის სახით გასაცემი სრულფასოვანი ვიდეოპროდუქტი;
ზ) დააფიქსიროს ვიდეომონტაჟის ხარისხიანად განხორციელების ხელისშემშლელი მიზეზები და წარმოადგინოს მისი აღმოფხვრის გზები;
თ) უზრუნველყოს სატელევიზიო/ტექნიკური აპარატურის სწორი ექსპლუატაცია, ტექნიკური ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ფაქტი დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამსახურს;
ი) სისტემატურად გაეცნოს ვიდეომონტაჟისთვის საჭირო აპარატურისა და კომპიუტერული პროგრამების შესაძლებლობებს;
კ) ასრულებს სამსახურის უფროსის ან/და მის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის სამსახურებრივ მითითებებს.

<u>4.7. მემონტაჟე:</u>

ა) ვიდეოკონტენტზე პასუხისმგებელი პირის (ავტორის, რეჟისორის, რედაქტორის) მითითებით სასცენარო გეგმის დაცვით ამონტაჟებს ვიდეომასალას;
ბ) ვიდეომონტაჟის წესებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებით ამზადებს შესაბამის პროდუქტს ხარისხიანი გამოსახულებითა და ხმით;
გ) ვიდეოპროდუქტის შინაარსობრივი, მხატვრული ან ტექნიკური ხარისხის გაზრდის მიზნით ვიდეოკონტენტზე პასუხისმგებელ პირს სისტემატურად სთავაზობს საკუთარ მოსაზრებებს და შეთანხმების შემთხვევაში ახორციელებს მას;

დ) ახორციელებს მონტაჟისთვის საჭირო დამატებითი ვიდეო, ფოტო და აუდიო მასალის მოძიებას;
ე) დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ვიდეოპროდუქტის შემოწმებისას აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზი (შინაარსობრივი ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყონებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სამსახურის უფროსს);
ვ) შექმნას სატელევიზიო ეთერში, ვებ-პორტალზე, ვიდეოარქივში განსათავსებელი ან/და საჯარო ინფორმაციის სახით გასაცემი სრულფასოვანი ვიდეოპროდუქტი;
ზ) დააფიქსიროს ვიდეომონტაჟის ხარისხიანად განხორციელების ხელისშემშლელი მიზეზები და წარმოადგინოს მისი აღმოფხვრის გზები;
თ) უზრუნველყოს სატელევიზიო/ტექნიკური აპარატურის სწორი ექსპლუატაცია, ტექნიკური ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ფაქტი დაუყოვნებლივ აცნობოს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს;
ი) სისტემატურად გაეცნოს ვიდეომონტაჟისთვის საჭირო აპარატურისა და კომპიუტერული პროგრამების შესაძლებლობებს;
კ) მონაწილეობას ღებულობს სამსახურის უფროსის, პროდიუსერის/რედაქტორის/რეჟისორის და წარმოების მენეჯერისა მიერ დაგეგმილ თათბირებში;
ლ) ასრულებს სამსახურის უფროსის ან/და მის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის სამსახურებრივ მითითებებს.

<u>4.8. უფროსი ოპერატორი:</u>
ა) პასუხისმგებელია მაუწყებლის საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის სარგებლობაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის (ვიდეოკამერების, მეხსიერების ბარათების და მათზე მიკუთვნებული საშუალებების) შენახვაზე;
ბ) ამ მუხლის ,,ა“ პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალების გაცემასა და მიღებას აღრიცხავს სპეციალურად შექმნილ ჟურნალში, ასევე, ახორციელებს მოწყობილობის/ტექნიკის ვარგისიანობის/გამართული ფუნქციონირების შემოწმებას (გაცემისა და მიღების დროს);
გ) უზრუნველყოფს მაუწყებლის შემოქმედებითი ჯგუფის სამუშაო განრიგის შედგენას და აკონტროლებს წინასწარ შეთანხმებული/დადგენილი სამუშაო განრიგის დაცვას;
დ) მაუწყებლის საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის ოპერატორების მიერ, ამ დებულების, მაუწყებლის შინაგანაწესის, მაუწყებლის დებულების ან/და სხვა სამართლებრივი დოკუმენტით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში დაუყონებლივ აწვდის (წერილობით) ინფორმაციას სამსახურის უფროსსა და მაუწყებლის დირექტორს;
ე) საჭიროების შემთხვევაში ასრულებს ოპერატორის ფუნქციებს;
ვ) ასრულებს სამსახურის უფროსის ან/და მის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის სამსახურებრივ მითითებებს.

<u>4.9. ოპერატორი:</u>
ა) დროულად და ხარისხიანად ახორციელებს მითითებულ (წინასწარ განსაზღვრულ) სამუშაოს დაკავშირებულს მასალის მომზადებასთან (უშუალოდა პასუხისმგებელი გადაღებული მასალის ვიზუალურ მხარეზე);
ბ) პროდუქციის შექმნისას (ინტერვიუს ჩაწერის, სიუჟეტის გადაღების და ა.შ. დროს) უზრუნველყოფს ტექნიკური მხარის გამართულობას (განათება, მიკროფონი და ა.შ.);

გ) ახორციელებს პრევენციულ (წინა მოსამზადებელ) ღონისძიებებს, დაგეგმილი ან/და დაუგეგმავი შესასრულებელი სამუშაოების ხარისხიანი (შეუფერხებელი) შესრულებისთვის (მუდმივად არის მობილიზებული აუდიო/ვიდეო ჩაწერისათვის);
დ) საჭიროების შემთხვევაში მზად არის რეპორტიორის სამუშაოს შესასრულებლად;
ე) მონაწილეობას ღებულობს სამსახურის უფროსის, პროდიუსერის/რედაქტორის/რეჟისორის და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ დაგეგმილ თათბირებში;
ვ) ასრულებს სამსახურის უფროსის ან უფროსის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის მითითებებს.

4.10. <u>რეჟისორი/ავტორი:</u>
ა) ორგანიზებას უკეთებს კონკრეტული პროდუქტის მომზადებას (სამუშაოების დაწყების შემდეგ მისი პასუხისმგებლობაშია შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე);
ბ) დროულად და ხარისხიანად ახორციელებს დაგეგმილი სამუშაოებს;
გ) ახორციელებს პრევენციულ (წინა მოსამზადებელი) ღონისძიებებს, დაგეგმილი ან/და დაუგეგმავი შესასრულებელი სამუშაოების ხარისხიანი (შეუფერხებელი) შესრულებისთვის;
დ) ადგენს და ახორციელებს გადაცემის სარეჟისორო სცენარს;
ე) ხელმძღვანელობს გადაცემაზე მომუშავე ჯგუფს და ორგანიზებას უწევს მათ საქმიანობას;
ვ) პასუხისმგებელია შექმნილი პროდუქტის დადგენილ/განსაზღვრულ პრიორიტეტებთან და დამტკიცებულ სასცენარო გეგმასთან შესაბამისობაზე;
ზ) სამუშაოებში მონაწილე პირებს აცნობს შესაქმნელი პროდუქტის შინაარსს და მათ მოვალეობებს;
თ) აფასებს ჩატარებული სამუშაოების შესაბამისობას წინასწარ დადგენილ/განსაზღვრულ პირობებთან;
ი) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს მასალის მონტაჟსა და გრაფიკულ გაფორმებას;
კ) ახორციელებს სამუშაოების შესრულების დროს წარმოქმნილი ხარვეზებისა და შეფერხებების ანალიზს და წერილობით ინფორმაციას აწვდის სამსახურის უფროსს;
ლ) ასრულებს სამსახურის უფროსის ან უფროსის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის მითითებებს.

4.11. <u>წამყვანი:</u>
ა) წინასწარ განსაზღვრული დროის მონაკვეთში ამზადებს და უძღვება კონკრეტული მიმართულების გადაცემას (აღნიშნული გადაცემა შეიძლება იყოს პირდაპირ ეთერის);
ბ) ამზადებს გადაცემის ტექსტებს, წარმართავს ინტერვიუსა და დისკუსიას, ამზადებს კითხვებს, მონაწილეობას ღებულობს გადაცემის სასცენარო გეგმის შედგენაში;
გ) ახორციელებს პრევენციული (წინა მოსამზადებელი) ღონისძიებებს, დაგეგმილი ანდა დაუგეგმავი შესასრულებელი სამუშაოების ხარისხიანი (შეუფერხებელი) შესრულებისთვის;
დ) გადაცემის წაყვანის დროს ახორციელებს სრულ მობილიზებას (გაწონასწორებულობა, ორგანიზებულობა, პუნქტუალობა და ა.შ.);
ე) ასრულებს სამსახურის უფროსის ან უფროსის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის მითითებებს.

4.12. <u>რეპორტიორი:</u>

ა) თემების გამოვლენა, ანალიზი, მათი შერჩევა და რედაქტორის მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიება, ექსკლუზიური თემების მოძიება;

ბ) თემების მოპოვების მიზნით შესაბამის ადგილზე გასვლა, ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება და გადამუშავება, რესპონდენტების შერჩევა, სათანადო მოქმედებების ოპერატიულად განხორციელება;

გ) თემების შესაბამის სატელევიზიო და რადიო პროგრამებსა და ვებკონტენტში სრულად ასახვა;

სარედაქციო და აუდიოვიზუალური მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით მომზადება;

დ) შინაარსის მიხედვით სატელევიზიო და რადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის დროულად, ვადებში მომზადების უზრუნველყოფა და პრობლემების შემთხვევაში მათზე ოპერატიული რეაგირება;

ე) ობიექტურობის, დაბალანსებულობისა და ეთიკის ნორმების დაცვა, დარღვევის საფრთხეების წინასწარ შეფასება, დარღვევის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა;

ვ) სამსახურის უფროსის, რედაქტორის, პროდიუსერის ან სხვა პასუხისმგებელი პირების მითითებების შესრულება.

4.13. <u>სოციალური ქსელ(ებ)ის მართვის სპეციალისტი (სოც. ქსელის მენეჯერი)</u>

ა) სოციალურ ქსელ(ებ)ში სატელევიზიო/რადიო გადაცემ(ებ)ის გვერდების მართვა და განახლება;

ბ) სატელევიზიო და რადიო პროგრამების მულტიმედია პროდუქტებად გადაქცევა და ავტორებთან, პროდიუსერებთან, რედაქტორებთან ან რეჟისორებთან შეთანხმებით სოციალურ ქსელებში განთავსება;

გ) საჭიროების შემთხვევაში სოციალურ ქსელებში პირდაპირი ჩართვების განხორციელება;

დ) გადაცემების გვერდებისა და ვიდეოარხების მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდაზე ზრუნვა;

ე) მაუწყებლის ვებ-გვერდზე განთავსებული მასალების სოციალურ ქსელ(ებ)ში შესაბამისი ფორმატით გატანა;

ვ) სამსახურის უფროსის ან სხვა პასუხისმგებელი პირების მითითებების შესრულება.

4.14. <u>სტუდიური/არასტუდიური გადაცემების რედაქტორი:</u>

ა) აუდიტორიისათვის საინტერესო, აქტუალური თემების გამოვლენა, მათი გადანაწილება კონკრეტული ჯგუფებისათვის მოსამზადებლად. თემების მოძიების ჯგუფთან პერიოდული კომუნიკაცია აქტუალური თემების გამოვლენის მიზნით; განაწილებული თემების დროული მომზადების კონტროლი;

ბ) აუდიტორიის ინტერესების კვლევის ჯგუფთან პერიოდული კომუნიკაცია საზოგადოებისათვის საინტერესო თემების გამოვლენის მიზნით;

გ) გადაცემის/რუბრიკის სცენარის განვითარების საჭიროებების გამოვლენა. სცენარის შექმნასა და განვითარებაში ავტორების შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

დ) გადაცემის/რუბრიკის სარედაქციო მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით მომზადების უზრუნველყოფა;

ე) მოსაწვევი რესპოდენტების, სტუმრების შერჩევაში პროდიუსერების მხარდაჭერა;

ვ)გადაცემის/რუბრიკის წამყვანების პროფესიული მომზადების მაღალი ხარისხის ზედამხედველობა და ხარვეზების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების გზების დასახვა;
ზ) გადაცემაში/რუბრიკაში ობიექტურობის, დაბალანსებულობის და ეთიკური ნორმების დარღვევის საფრთხეების წინასწარი შეფასება და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
თ) გადაცემის/რუბრიკის დროულად, განსაზღვრულ ვადებში მომზადების/გაშვების უზრუნველყოფა და პრობლემების შემთხვევაში მათზე ოპერატიული რეაგირების ღონისძიებების კოორდინაცია;
ი) სარედაქციო საკითხებში ხშირად წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი და რეაგირების წინადადებების დაყენება;
კ) სამსახურის უფროსის ან სხვა პასუხისმგებელი პირების სამსახურებრივი მითითებების შესრულება.

4.15. სტუდიური/არასტუდიური გადაცემების პროდიუსერი:

ა) გადაცემისათვის/რუბრიკისათვის ყოველდღიური საორგანიზაციო გეგმების მომზადების კოორდინაცია;
ბ) რესპოდენტებთან, სტუმრებთან დაკავშირებაში რედაქტორების, წამყვანების და ავტორის მხარდაჭერა;
გ) რედაქტორების/ავტორების/წამყვანების მიერ მომზადებული მასალების დროული მოგროვება;
დ) ტრანსპორტირებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების დროულად გადაწყვეტა;
ე) მიმდინარე რეჟიმში მომზადებული სიუჟეტებისა და მასალების დროული მოგროვება;
ვ) რედაქტორების და ავტორების მხარდაჭერა საორგანიზაციო საკითხების მაღალი ხარისხით და ვადებში განხორციელებაში;
ზ) საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელების პროცესში პრობლემებისა და გეგმიდან გადახრების დროული გამოვლენა და ოპერატიული გადაწყვეტა;
თ) სხვადასხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად განსახორციელებელი გადაღებების/ჩაწერების დაგეგმვა და მათგან მოწოდებული მასალების საეთეროდ მომზადება;
ი) ანონსების მომზადებაში შესაბამისი პირების მხარდაჭერა;
კ) სამსახურის უფროსის ან სხვა პასუხისმგებელი პირების სამსახურებრივი მითითებების შესრულება.

4.16. სტუდიური/არასტუდიური გადაცემების ტექნიკური პროდიუსერი:

ა). სტუდიური გადაცემებისათვის ყოველდღიური საორგანიზაციო გეგმების მომზადება;
ბ). გადაცემებში მონაწილე რესპოდენტებთან და სტუმრებთან დაკავშირება და მათი დაგეგმილ დროს გამოცხადების უზრუნველყოფა;
გ). რედაქტორების/ავტორის მიერ მომზადებული ტექნიკური მასალების დროული მოგროვება და შესაბამისი პირებისათვის მიწოდება;
დ). ტრანსპორტირებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების დროულად გადაწყვეტა;
ე). საორგანიზაციო საკითხების მაღალი ხარისხითა და განსაზღვრულ ვადებში განხორციელება;

ვ). საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი პრობლემებისა და გადახრების აღრიცხვა და ინფორმაციის დაუყონებლივ მიწოდება სამსახურის უფროსისთვის. საორგანიზაციო საკითხებში ხშირად წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი;
ზ). სამსახურის უფროსის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირების სამსახურებრივი მითითებების შესრულება;

4.17. სპორტული პროგრამების/მიმართულების პროდიუსერი:

ა) სპორტული გადაცემებისათვის პერიოდულად საორგანიზაციო გეგმების მომზადება;
ბ) გადაცემებში მონაწილე რესპოდენტებთან, სტუმრებთან დაკავშირებაში (მოწვევაში, ჩაწერაში, ინფორმაციის მოპოვებაში) რედაქტორების, წამყვანების და ავტორის მხარდაჭერა;
გ) რედაქტორების/ავტორების/წამყვანების მიერ მომზადებული მასალების დროული მოგროვება;
დ) ტრანსპორტირებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების დროულად გადაწყვეტაში მხარდაჭერა;
ე) გადაცემ(ებ)ის რედაქტორ(ებ)ის და ავტორის მხარდაჭერა საორგანიზაციო საკითხების მაღალი ხარისხით და განსაზღვრულ ვადებში განხორციელებაში;
ვ) საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელების პროცესში პრობლემებისა და გეგმიდან გადახრების დროული გამოვლენა. საორგანიზაციო საკითხებში ხშირად წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი;
ზ) სპორტული გადაცემებისათვის ანონსების მომზადებაში შესაბამისი პირების მხარდაჭერა.
თ) სპორტულ სიახლეებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებაში და შესაბამისი მასალის მომზადებაში ავტორების/რედაქტორების მხარდაჭერა;
ი) სამსახურის უფროსის ან სხვა პასუხისმგებელი პირების სამსახურებრივი მითითებების შესრულება.

4.18. ხმის რეჟისორი:

ა) ახორციელებს კონტროლს ტელე პროდუქციის ხმის ხარისხზე, ახდენს მუსიკალურ რედაქტირებას;

ბ) უზრუნველყოფს ტელე პროდუქციის მუსიკალური თუ ხმოვანი რიგის მხატვრულ და ხარისხიან გადაწყვეტას.
გ) უშუალოდ მონაწილეობს გადაღების დროს ადგილზე ხმის ჩაწერის პროცესში, პასუხისმგებელია ტელე პროდუქციის აუდიო ელემენტებზე;
დ) მონაწილეობს ტელე პროდუქციის მონტაჟის და ტონირების პროცესში, კერძოდ, მოიძიებს და შეარჩევს ფონის ხმებს, მუსიკალურ ნაწარმოებს ან მოტივებს, მთლიანობაში უზრუნველყოფს ტელე პროდუქციის საუნდ დიზაინს.

4.19. რადიოს შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერი/მთავარი პროდიუსერი

ა) რადიო გადაცემების/რუბრიკების მომზადების ორგანიზება;
ბ) სამსახურში დასაქმებული რადიოს საავტორო/შემოქმედებითი გადაცემების/რუბრიკების ავტორების, წამყვანების, გამხმოვანებლების, რედაქტორების, პროდიუსერების, რეპორტიორების, ვებ-კოორდინატორების, სოც. ქსელების მართვის სპეციალისტების, რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების კოორდინატორის,

რადიოგადაცემების წარმოების მენეჯერის, მუსიკალური წამყვანების საქმიანობის ორგანიზება და ზედამხედველობა;
გ) აუდიტორიისათვის საინტერესო, აქტუალური თემების შესახებ ინფორმაციის შეგროვება; თემების მოძიების ჯგუფთან პერიოდული კომუნიკაცია აქტუალური თემების გამოვლენის მიზნით; გამოვლენილი თემების შესახებ თემატური რედაქტორებისა და ავტორებისათვის რეკომენდაციების გაცემა;
დ) რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სცენარის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, სცენარის შექმნასა და განვითარებაში თემატური რედაქტორების და ავტორების შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
ე) რადიო გადაცემების/რუბრიკების დამატების შესაძლებლობებისა და იდეების გამოვლენის კოორდინაცია;
ვ) რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სარედაქციო მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით დამონტაჟების უზრუნველყოფა;
ზ) რადიოს საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში მოსაწვევი რესპოდენტების, სტუმრების შერჩევაში რედაქტორების მხარდაჭერა;
თ) რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების/მუსიკალური წამყვანების პროფესიული მომზადების მაღალი ხარისხის ზედამხედველობა და ხარვეზების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების გზების დასახვა;
ი) რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების/რუბრიკების შინაარსის პროფესიონალიზმის, ხარისხის განვითარების საჭიროებების გამოვლენა და წინადადებების მომზადება;
კ) რადიოს საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში/რუბრიკებში ობიექტურობის, დაბალანსებულობის და ეთიკური ნორმების დარღვევის საფრთხეების წინასწარი შეფასება და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
ლ) რადიოს საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში/რუბრიკებში ობიექტურობის, დაბალანსებულობისა და ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა და რეაგირების წინადადებების მომზადება;
მ) რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების/რუბრიკების შინაარსის დროულად, ვადებში მომზადების უზრუნველყოფა და პრობლემების შემთხვევაში მათზე ოპერატიული რეაგირების ღონისძიებების კოორდინაცია;
ნ) სარედაქციო საკითხებში ხშირად წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი და რეაგირების წინადადებების მომზადება.
ო) საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში შესაბამისი პირების მხარდაჭერა;
პ) რადიოს ბადეში განსათავსებელი მუსიკალური პროდუქტების მომზადების ორგანიზება;
ჟ) რადიოს ბადეში განსათავსებელი მუსიკალური პროდუქციის ყოველდღიური და ყოველკვირეული გეგმის განხორციელების მონიტორინგი;
რ) მუსიკალური მექანიკური პროდუქციის შესაძენად წინადადებების მომზადება;
ს) სამსახურის უფროსის სამსახურებრივი მითითებების შესრულება;

<u>4.20. რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების კოორდინატორი</u>

ა) აუდიტორიისათვის საინტერესო, აქტუალური თემების გამოვლენა და მათი მიწოდება შესაბამისი სუბიექტებისათვის;
ბ) რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სცენარის განვითარების საჭიროებების გამოვლენა;

გ) რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სცენარის შექმნასა და განვითარებაში თემატური რედაქტორების და ავტორების შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
დ) რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სარედაქციო მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით გადაცემის უზრუნველყოფა;
ე) რადიოს საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში მოსაწვევი რესპოდენტების, სტუმრების შერჩევაში რედაქტორების/ავტორების/წამყვანების მხარდაჭერა;
ვ) რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების წამყვანების პროფესიული მომზადების მაღალი ხარისხის ზედამხედველობა და ხარვეზების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების გზების დასახვა;
ზ) რადიოს საავტორო-შემოქმედებით გადაცემებში ობიექტურობის, დაბალანსებულობის და ეთიკური ნორმების დარღვევის საფრთხეების წინასწარი შეფასება და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
თ) სარედაქციო საკითხებში ხშირად წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი;
ი) სამსახურის უფროსის ან/და რადიოს შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლი (სარედაქციო მიმართულებით);
ნ) სამსახურის უფროსის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი მითითებების შესრულება.

<u>4.21. რადიო გადაცემების წარმოების მენეჯერი</u>

ა) რადიოს შემოქმედებითი ჯგუფის ორგანიზაციული მხარდაჭერა აუდიტორიისათვის საინტერესო და აქტუალური თემების მომზადებაში;
ბ) ჯგუფთან პერიოდული კომუნიკაცია პრობლემური საკითხების/თემების გამოვლენის მიზნით;
გ) რადიო გადაცემებში რესპოდენტების მოწვევაში რედაქტორების/ პროდიუსერების/ ავტორების მხარდაჭერა;
დ) რადიო გადაცემების/რუბრიკების წამყვანების მომზადების (მოწესრიგებულობის) ზედამხედველობა და ხარვეზების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების გზების დასახვა;
ე) რადიო გადაცემების პროდიუსერების და მემონტაჟეებისათვის დავალებების სწორად გადანაწილება და მონიტორინგი;
ვ) ყოველკვირეულად სამუშაოების შეთანხმება ავტორებთან, დეტალური მოქმედებების განსაზღვრა და საჭირო რესურსების გამოყოფა გადაცემის მომზადებისთვის;
ზ) რადიო გადაცემების სტუდიის ტექნიკური მზადყოფნის უზრუნველყოფა;
თ) ტრანსპორტირებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების დროულად გადაწყვეტა;
ი) რადიო გადაცემების პროდიუსერების/ავტორების მხარდაჭერა საორგანიზაციო საკითხების მაღალი ხარისხით განხორციელებაში;
კ) საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელების პროცესში პრობლემებისა და გეგმიდან გადახრების დროული გამოვლენა და დროული გადაწყვეტის უზრუნველყოფა;
ლ) საორგანიზაციო საკითხებში ხშირად წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი და რეაგირების წინადადებების სამსახურის უფროსისათვის ან/და რადიოს შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერისათვის მიწოდება;
მ) რადიო პროდუქტის ვებ-გვერდზე განსათავსებელად შესაბამისი პირებისათვის მასალის დროული მიწოდება;
ნ) სამსახურის უფროსის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი მითითებების შესრულება.

4.22. <u>რადიოს მუსიკალური წამყვანი:</u>

ა) რადიოს ბადეში განსათავსებელი მუსიკალური პროდუქტის მომზადება;

ბ) რადიოს ბადეში განსათავსებელი მუსიკალური პროდუქციის ყოველდღიური და ყოველკვირეული გეგმის შედგენა;

გ) მუსიკალური გადაცემების წაყვანა (შესაბამისი თემებისა მომზადება);

დ) მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღრიცხვა და ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი სუბიექტებისათვის;

ე) მუსიკალური მექანიკური პროდუქციის შეძენის წინადადებების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) სამსახურის უფროსის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი მითითებების შესრულება.

მუხლი 5. დოკუმენტური ფილმების სტუდია

5.1. სამსახურის შემადგენლობაში შედის სტრუქტურული დანაყოფი - **დოკუმენტური ფილმების სტუდია**, რომელსაც ხელმძღვანელობს სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი. დოკუმენტური ფილმების სტუდიის შემადგენლობაში შედის საკონსულტაციო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს დოკუმენტური ფილმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი. საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობაშიც შედის სტუდიაში დასაქმებული პირები, ასევე, შესაძლოა სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელის მოთხოვნით (გადაწყვეტილებით) მოწვეული იქნან სხვა პირებიც.

5.2.დოკუმენტური ფილმების სტუდიის საკონსულტაციო ჯგუფი არის დოკუმენტური ფილმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელის სათათბირო (საკონსულტაციო) ორგანო, რომელიც**:**

ა) განსაზღვრავს დოკუმენტური ფილმების თემატურ მიმართულებას, ჟანრობრივ სპექტრს და ადგენს ფილმების წარმოების გეგმას.

ბ) შეიმუშავებს და ადგენს დოკუმენტური ფილმების სცენარის და მზა პროდუქციის (დოკუმენტური ფილმების) შეფასების კრიტერიუმებს და სტანდარტებს.

გ) განიხილავს განაცხადებს, სინოფსისებს, სცენარებს და გასცემს რეკომენდაციებს შემდგომი განვითარებისთვის.

დ) ამტკიცებს ფილმის პროექტსა და შემოქმედებითი ჯგუფის შემადგენლობას.

ე) დასაბუთებულ უარს აცხადებს ფილმის პროექტის დამტკიცებაზე.

ვ) იბარებს მზა დოკუმენტურ ფილმს შემდგომი განხილვისა და შეფასებისთვის, ადგენს შესაბამისობას თემატურ მიმართულებასთან დადგენილ კრიტერიუმებთან და სტანდარტებთან.

ზ) გასცემს რეკომენდაციას სტუდიის (აჭარის ტელევიზიის) ბაზაზე ან გარე წარმოებით მომზადებული დოკუმენტური ფილმის (პროდუქციის) საეთერო ბადეში განთავსებასთან დაკავშირებით.

თ) უფლებამოსილია მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს ფილმი შემოქმედებით ჯგუფს კორექტირების მიზნით.

5.3. დოკუმენტური ფილმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი

დოკუმენტური ფილმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს სტუდიაში დასაქმებული პირების საქმიანობას, კერძოდ:

ა) მოიძიებს და გამოავლენს აქტუალურ თემებს;
ბ) კოორდინირებას უწევს ფილმის წარმოების ყველა ეტაპს - სცენარის მიღებიდან და მოსამზადებელი პერიოდიდან პროდუქციის შექმნის ჩათვლით;
გ) მუდმივად შეაქვს კრეატიული იდეები შემოქმედებით ჯგუფში;
დ) პასუხისმგებელია სტუდიის პროდუქციის მხატვრულ ხარისხზე;
ე) დოკუმენტური ფილმების სტუდიის საკონსულტაციო ჯგუფს რეკომენდაციების მიღების მიზნით წარუდგენს ფილმების თემატურ მიმართულებებს, ფილმების ჟანრობრივ მიმართულებებს, ფილმების წარმოების გეგმას;
ვ) კოორდინაციას უწევს დოკუმენტურ ფილმებზე მომუშავე შემოქმედებითი ჯგუფების წევრებს, საკონსულტაციო ჯგუფის წევრებს.
ზ) ფილმის პროექტის ავტორებს ხელს უწყობს მასალების მოძიების, შემოქმედებითი იდეების ფორმირებისა და მხატვრული კონცეფციის შემუშავების პროცესში;
თ) ადგენს, აზუსტებს და მუდმივად განაახლებს სცენარების თემატურ გეგმას რედაქტორებთან და პროდიუსერებთან ერთად;
ი) ფილმის პროექტის ავტორებთან და პროდიუსერებთან ერთად განიხილავს ფილმის წარმოების გეგმას და კალენდარულ გრაფიკს;
კ)უზრუნველყოფს ყოველდღიური საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვის პროცესების სწორად წარმართვას;
ლ) ეცნობა ფილმის წარმოების პროცესს და შუალედურ შედეგებს, ამოწმებს მხატვრულ ხარისხს და გასცემს განვითარებაზე რეკომენდაციებს;
მ) ახორციელებს ყველა საჭირო ტექნიკურ და ორგანიზაციულ ფუნქცია-მოვალეობებს სტუდიის გამართულად ფუნქციონირებისთვის.

5.4. დოკუმენტური ფილმების სტუდიის სტრუქტურა:

5.4.1.დოკუმენტური ფილმების სტუდიაში დასაქმებული არიან:

ა) მთავარი პროდიუსერი;
ბ) მთავარი ოპერატორი;
გ) მთავარი რედაქტორი;
დ) რეჟისორი/ავტორი;
ე) ოპერატორი;
ვ) პროდიუსერი;
ზ) რედაქტორი ;
თ) მემონტაჟე/მთავარი მემონტაჟე;
ი) ხმის რეჟისორი.

5.4.2. დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარი პროდიუსერი:

ა) ანაწილებს შემოქმედებით კადრებს - შემოქმედებითი და ტექნიკური ჯგუფის წევრებს დამტკიცებული პროექტის მიხედვით;
ბ)ახორციელებს მომზადების პროცესში ხშირად დაფიქსირებული პრობლემების გამოვლენას ახდენს რეაგირებას შემდგომში სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელისთვის მათი წარდგენის, განხილვისა და გადაჭრის გზით;
გ) ითანხმებს დოკუმენტური ფილმების სასცენარო და საწარმოო გეგმებს;
დ) ეხმარება ავტორებსა/ რეჟისორებს დოკუმენტური ფილმების მომზადების დროს წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში;
ე) ფილმის წარმოების/მომზადების პროცესში კოორდინირებას ახდენს სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელთან;

ვ) დაუყონებლივ აწვდის ინფორმაციას კონკრეტული დოკუმენტური ფილმის ავტორს/რეჟისორს უზრუნველყოს მაუწყებლის განვითარების სამსახურის მიერ პროდუქციის არ ჩაბარების ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში;
ზ) ახორციელებს ფილმის შემოქმედებით ჯგუფთან პერიოდულ კომუნიკაციას მონტაჟთან დაკავშირებული პრობლემების გამოსავლენად/გადასაჭრელად (არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად);
თ) ფილმის გადაღების მოსამზადებელ პერიოდში კოორდინირებას უწევს და გასცემს რეკომენდაციას - ობიექტების და ნატურის შერჩევისას, აფასებს გადამღები ჯგუფის თავდაპირველი (შავი) მონტაჟის დონეზე წარმოდგენილ სამუშაო მასალას;
ი) საჭიროების შემთხვევაში (სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელის დავალებით) ასრულებს პროდიუსერის ფუნქციებს.

5.4.3. დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარი ოპერატორი:
ა) პასუხისმგებელია დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ შექმნილი პროდუქციის ვიზუალურ და ესთეტიკურ მხარეზე;
ბ) პროდუქციის შექმნისას კურირებს ტექნიკური მხარის გამართულობას (განათება, მიკროფონი და ა.შ.);
გ) ახორციელებს პრევენციულ (წინა მოსამზადებელი) ღონისძიებებს, დაგეგმილი ან/და დაუგეგმავი შესასრულებელი სამუშაოების ხარისხიანი (შეუფერხებელი) შესრულებისთვის;
დ) ჩართულია ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სცენარის გეგმის, კონცეფციის განხილვასა და მისი დამუშავების პროცესში;
ე) კონსულტაციას უწევს შემოქმედებით ჯგუფს ფილმის ვიზუალური სტილის, სახვითი გადაწყვეტის, კადრირების, კომპოზიციის აგების და მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისით;
ვ) საჭიროების შემთხვევაში (სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელის დავალებით) ასრულებს ოპერატორის ფუნქციებს.

5.4.4. დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარი რედაქტორი:
ა) გასცემს რეკომენდაციებს ფილმის ავტორებისთვის;
ბ) უზრუნველყოფს სცენარის შექმნისა და განვითარების მხარდაჭერას;
გ) ახდენს ვიდეომასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით დამონტაჟების უზრუნველყოფას;
დ) ზედამხედველობს სცენარის მომზადებას მაღალი ხარისხით და ხარვეზების შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას;
ე) გამოავლენს სცენარების, ფილმების შინაარსის, მხატვრული ხარისხის, პროფესიული უნარების განვითარების საჭიროებებს და წინადადებებს წარუდგენს საკონსულტაციო ჯგუფს;
ვ) ახდენს დოკუმენტურ ფილმში დაბალანსებულობის და ეთიკური ნორმების დარღვევის საფრთხეების წინასწარ შეფასებას და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას;
ზ) ახდენს მონტაჟის რედაქტირებას, მზა ფილმის რეცენზირებას (წერილობით), ფილმის იდეურ-მხატვრულ და ცალკეული კომპეტენციების შეფასებას (სარეჟისორო, საოპერატორო, ხმოვან- მუსიკალური გადაწყვეტის ჩათვლით და ა. შ.);
თ) ახდენს ფილმის მზა მასალის რედაქტირებას;
ი) კოორდინირებას უწევს გადაღებული მასალის მონტაჟს და გახმოვანებას;

კ) საჭიროების შემთხვევაში (სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელის დავალებით) ასრულებს რედაქტორის ფუნქციებს.

5.4.5. დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეჟისორი/ავტორი:

ა) თემატური გეგმის ფარგლებში წარმოადგენს განაცხადს, სინოფსისს , სასცენარო გეგმას. სინოფსისში (სასცენარო გეგმაში) მითითებული უნდა იყოს სამუშაო სათაური;

ბ)ავლენს საკუთარ ხედვას, რეალური ფაქტის, მოვლენის სიღრმისეული წვდომის და გააზრების, შემოქმედებითი ინტერპრეტაციის უნარს;

გ) ჯგუფის წევრებს აცნობს მომავალი ფილმის იდეას, სცენარს და გადაღების გეგმას, ასევე, ჯგუფის თითოეული წევრის მოვალეობას;

დ) ფილმის მომზადებაში იყენებს დრამატურგიულ ხერხებს და მხატვრულ კინოარსენალს - ფილმის მონაწილეების/პერსონაჟების ხასიათებს, სიუჟეტური განვითარების ხაზს, კულმინაციას, კვანძის გახსნას და ა. შ.;

ე) აწარმოებს ფილმისთვის თემის მოკვლევას, ხელმძღვანელობს გადამღებ ჯგუფს, განსაზღვრავს ფილმის შინაარსს, ადგენს გადაღების განრიგს, წარმართავს მონტაჟს, ხმოვან რიგს და სტუდიას მიაწოდებს საბოლოო პროდუქციას;

ვ) შესაძლებელია ითავსებდეს პროდიუსერის ფუნქციას.

ზ) ორგანიზებას უკეთებს ფილმის მომზადებას, ფილმის მომზადება/ წარმოების ეტაპებს მისი დასრულების ჩათვლით;

თ) მის პასუხისმგებლობაშია ფილმის შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე;

ი) დროულად და ხარისხიანად ახორციელებს დაგეგმილი სამუშაოებს, ხელმძღვანელობს ფილმზე მომუშავე ჯგუფს და ორგანიზებას უწევს მის საქმიანობას;

კ) პასუხისმგებელია შექმნილი პროდუქტის დადგენილ/განსაზღვრულ პრიორიტეტებთან შესაბამისობასა და დამტკიცებულ სასცენარო გეგმასთან;

ლ) აფასებს ჩატარებული სამუშაოების შესაბამისობას წინასწარ დადგენილ/განსაზღვრულ პირობებთან;

მ) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს მასალის მონტაჟს;

ნ) ფილმის გადაღების დროს წარმოქმნილი ხარვეზებისა და შეფერხებების შემთხვევაში წერილობით ინფორმაციას აწვდის მთავარ პროდიუსერს/პროდიუსერს;

ო)ითვალისწინებს და იცავს სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელის და საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციებს.

5.4.6. დოკუმენტური ფილმების სტუდიის ოპერატორი:

ა) პასუხისმგებელია ტექნიკურ აღჭურვილობაზე, კამერის უსაფრთხოებაზე;

ბ) ფლობს, როგორც სტუდიური და ნატურაზე გადაღების პრინციპებს და ტექნიკურ მეთოდს, ასევე, კინემატოგრაფიულ ხერხებს;

გ) ჩართულია ფილმის მოსამზადებელ ეტაპზე გადაღების პროცესის ჩათვლით;

დ) დროულად და ხარისხიანად ახორციელებს მითითებულ (წინასწარ განსაზღვრულ) სამუშაოს დაკავშირებულს მასალის მომზადებასთან;

ე) უშუალოდაა პასუხისმგებელი გადაღებული მასალის ვიზუალურ-სტილისტურ და შინაარსობრივ მხარეზე;

ვ) გადაღებული მასალის ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ვალდებულია ხელახლა გადაიღოს მასალა რეჟისორის ან სამხატვრო ხელმძღვანელის მითითებით.

5.4.7. დოკუმენტური ფილმების სტუდიის პროდიუსერი:

ა) ორგანიზებას უწევს გადამღებ ჯგუფს წარმოების ყველა ეტაპზე;

ბ) უზრუნველყოფს ურთიერთობას ავტორს/რეჟისორსა და შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს შორის;
გ) რეჟისორთან/ავტორთან ერთად არჩევს და ამუშავებს მასალას მონტაჟისთვის;
დ) აკონტროლებს მუშაობის გეგმის და გრაფიკის შედგენას;
ე) აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მასალის ხელმეორედ გადაღებას;
ვ) ორგანიზებას უწევს შემოქმედებითი ჯგუფის უზრუნველყოფას მასალებით და რესურსებით, მათ შორის ლოკაციებით, გადასაღები ობიექტებით, ნატურით.
ზ) ორგანიზებას უწევს შემოქმედებითი ჯგუფის მივლინებას და უშუალოდ უწევს კოორდინირებას გადაღებებს მივლინების (ექსპედიციის)დროს.

5.4.8. დოკუმენტური ფილმების სტუდიის რედაქტორი:
ა) უწევს რედაქტირებას, როგორც სასცენარო გეგმას და სინოფსისს, ასევე, მონტაჟის და გახმოვანების პროცესს;
ბ) აქტიურად არის ჩართული საორგანიზაციო მუშაობაში - ერთდროულად ითავსებს პროდიუსერის ან სცენარისტის ფუნქციას;
გ) საჭიროებიდან გამომდინარე ამცირებს/კვეცავს ფილმის ქრონომეტრაჟს ისე, რომ არ დაირღვას კონცეფცია და დრამატურგიული ხაზი;
დ) ახორციელებს ფილმის სცენარის რედაქტირებას საავტორო უფლებების კონტექსტში;
ე) ახორციელებს მასალების მოკვლევას სცენარისთვის. მუშაობს სცენარის ტექსტზე, ახორციელებს შესწორებებს, ახდენს დიალოგების და სადიქტორო ტექსტების კორექტირებას და დაზუსტებას;
ვ) ტექსტზე მუშაობისას უზრუნველყოფს ლექსიკური, გრამატიკული, ორთოგრაფიული და სტილისტური ნორმების დაცვას;
ზ) ახდენს ვიდეო რიგის (ქრონიკის და ფრაგმენტების მხატვრული და დოკ. ფილმებიდან, ფოტოსურათების, საარქივო დოკუმენტების) რედაქტირებას;
თ) დოკ. ფილმის ინტერნეტ ვებ-გვერდზე განთავსებისას ადგენს ანონსის ტექსტებს;
ი) ფილმის პროექტთან ან მზა პროდუქტთან მიმართებაში ახდენს თემის განხილვის/დისკუსირების ორგანიზებას სოციალურ ქსელებში, ონლაინ და მედია ფორუმზე, მონაწილეობს ინტერნეტ ვებ-გვერდის შედგენაში (საიტი, ფორუმი).

5.4.9. დოკუმენტური ფილმების სტუდიის მემონტაჟე/მთავარი მემონტაჟე :
ა) პასუხისმგებელია ვიდეოკონტენტზე;
ბ) ავტორის/რეჟისორის, რედაქტორის მითითებით, სასცენარო გეგმის დაცვით ამონტაჟებს ვიდეომასალას;
გ) ვიდეომონტაჟის წესებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებით ამზადებს შესაბამის პროდუქტს ხარისხიანი გამოსახულებითა და ხმით;
დ) ვიდეოპროდუქტის შინაარსობრივი, მხატვრული ან ტექნიკური ხარისხის გაზრდის მიზნით ვიდეოკონტენტზე პასუხისმგებელ პირს სისტემატურად სთავაზობს საკუთარი მოსაზრებებს და შეთანხმების შემთხვევაში ახორციელებს მას;
ე) ახორციელებს მონტაჟისთვის საჭირო დამატებითი ვიდეო, ფოტო და აუდიო მასალის მოძიებას;
ვ) დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ვიდეომასალის შემოწმებისას აღმოჩენილ ტექნიკურ ხარვეზს (ვიდეო/აუდიო);
ზ) მოანაწილეობს სატელევიზიო ეთერში, ვებ-პორტალზე, ვიდეოარქივში განსათავსებელი პროდუქციის შექმნაში ან/და საჯარო ინფორმაციის სახით გასცემს

სრულფასოვან ვიდეოპროდუქტს და ჩაწერს/ჩატვირთავს მას სტუდიის ხელმძღვანელის მიერ მითითებულ ვიდეომატარებელზე (ან სერვერზე);
თ) აფიქსირებს ვიდეომონტაჟის ხარისხიანად განხორციელების ხელისშემშლელ მიზეზებს და და სამხატვრო ხელმძღვანელთან/საკონსულტაციო ჯგუფთან მიმართებით წარმოადგენს მისი აღმოფხვრის გზებს;
ი) უზრუნველყოფს სატელევიზიო/ტექნიკური აპარატურის სწორ ექსპლუატაციას, ტექნიკური ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ფაქტს დაუყოვნებლივ აცნობებს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს;
კ) სისტემატურად ეცნობა ვიდეომონტაჟისთვის საჭირო აპარატურისა და კომპიუტერული პროგრამების შესაძლებლობებს;

5.4.10. ხმის რეჟისორი :
ა) ახორციელებს კონტროლს ხმის ხარისხზე, ახდენს მუსიკალურ რედაქტირებას;
ბ) უზრუნველყოფს ფილმის მუსიკალური თუ ხმოვანი რიგის მხატვრულ და ხარისხიან გადაწყვეტას;
გ) უშუალოდ მონაწილეობს გადაღების დროს ადგილზე ხმის ჩაწერის პროცესში, პასუხისმგებელია ფილმის ხმოვან რიგზე და მის ცალკეულ ელემენტზე;
დ) მონაწილეობს ფილმის მონტაჟის და ტონირების პროცესში, კერძოდ, მოიძიებს და შეარჩევს ფონის ხმებს, მუსიკალურ ნაწარმოებს, ფრაზას ან მოტივებს, მთლიანობაში უზრუნველყოფს ფილმის საუნდ დიზაინს.

მუხლი 6. პრომოუშენის განყოფილება (ჯგუფი)
6.1. სამსახურის შემადგენლობაში შედის სტრუქტურული დანაყოფი - პრომოუშენის განყოფილება (ჯგუფი), რომელსაც ხელმძღვანელობს განყოფილების/ჯგუფის ხელმძღვანელი. ჯგუფი საკუთარ უფლება-მოვალეობებს ახორციელებს ბრენდმენეჯერთან კოორდინაციით.

6.2.განყოფილების ძირითადი ამოცანებია:
ა) სატელევიზიო არხის/სატელევიზიო გადაცემ(ებ)ის პერიოდულად/სეზონების მიხედვით შეფუთვის უზრუნველყოფა მაღალი ტექნიკური ხარისხით, რეჟისურითა და შინაარსით;
ბ) მიზნობრივი, მრავალფეროვანი პროგრამათაშორისი ვიდეოარტების, კალენდარული თარიღების შესაბამისი ვიდეორგოლების მომზადება მაღალი ტექნიკური ხარისხით, რეჟისურითა და შინაარსით;
გ) სატელევიზიო გადაცემების, მხატვრული/დოკუმენტური/ანიმაციური ფილმების ანონსების მაღალი ტექნიკური ხარისხითა და ვიზუალით მომზადება.

6.3. პრომოუშენის განყოფილების (ჯგუფის) სტრუქტურა:
6.3.1.განყოფილებაში დასაქმებულები არიან:
ა) განყოფილების/ჯგუფის ხელმძღვანელი;
ბ) განყოფილების/ჯგუფის მთავარი რედაქტორი;
გ) განყოფილების/ჯგუფის პროდიუსერი;
დ) განყოფილების/ჯგუფის სამხატვრო ხელმძღვანელი/რეჟისორი;
ე) განყოფილების/ჯგუფის რეჟისორი;
ვ) რეჟისორის ასისტენტი;
ზ) მთავარი გრაფიკოს-დიზაინერი;

თ) ოპერატორი;
ი) გრაფიკოს- მემონტაჟე;
კ) ანონსების მემონტაჟე;
ლ) სატელევიზიო გადაცემების ანონსების რედაქტორი;
მ) სატელევიზიო გადაცემების ანონსების პროდიუსერი.

6.3.2. პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის ხელმძღვანელი:
ა)ორგანიზებას უწევს ჯგუფში დასაქმებული პირების საქმიანობას, განსაზღვრავს მათ სამუშაო გრაფიკს, განრიგს;
ბ) ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად განსაზღვრავს სატელევიზიო გადაცემების, მხატვრული/დოკუმენტური/ანიმაციური ფილმების ანონსების შინაარსს, გეგმავს განვითარების სამუშაოებს და ახდენს მომზადების კოორდინაციას, ახორციელებს სატელევიზიო არხის/სატელევიზიო გადაცემების შეფუთვასთან დაკავშირებული წინადადებების, იდეების განხილვას, შინაარსის განსაზღვრას, სცენარის შექმნას და უზრუნველყოფს მომზადების ორგანიზებას, ახორციელებს მიზნობრივი, მრავალფეროვანი პროგრამათაშორისი ვიდეოარტების, კალენდარული თარიღების შესაბამისი ვიდეორგოლების კონცეფციების დამუშავებას, თემების განსაზღვრას, სცენარის შექმნას და უზრუნველყოფს მომზადების ორგანიზებას;
გ)უზრუნველყოფს მიმდინარე საორგანიზაციო სამუშაოების მაღალი ხარისხით განხორციელებას, პრობლემების გამოვლენას და დროულ რეაგირებას;
დ) ასრულებს სამსახურის უფროსის სამსახურებრივი დავალებებს.

6.3.3. პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის მთავარი რედაქტორი:
ა)ჯგუფის ხელმძღვანელს წარუდგენს და განიხილავს იდეებს სატელევიზიო არხის/სატელევიზიო გადაცემების შეფუთვასთან დაკავშირებით;
ბ) განსაზღვრავს მიზნობრივი, მრავალფეროვანი პროგრამათაშორისი ვიდეოარტების, წლის მთავარი კალენდარული თარიღების შესაბამისი ვიდორგოლების თემებს და განსახილველად წარუდგენს ჯგუფის ხელმძღვანელს;
გ) უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ კონტენტის მომზადებას კრეატიულ კონცეფციასა და ტელესტანდარტებთან შესაბამისობით;
დ) უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ მომზადებული კონტენტის ტექსტის სიზუსტეს.

6.3.4. პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის პროდიუსერი:
ა) უზრუნველყოფს ჯგუფის ადმინისტრაციული, ტექნიკური და შემოქმედებითი ამოცანების შესრულებას;
ბ) ახდენს ჯგუფის მიერ კონტენტის გადაღება-მომზადებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას დასაწყისიდან საბოლოო შედეგამდე;
გ) თანამშრომლობს გადამღები ჯგუფის წევრებთან და უწევს მხარდაჭერას ტექნიკური შეფერხებების დროულად გადაწყვეტაში.

6.3.5.პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის სამხატვრო ხელმძღვანელი/რეჟისორი:
ა) ჯგუფის ხელმძღვანელს წარუდგენს და განიხილავს იდეებს სატელევიზიო არხის/სატელევიზიო გადაცემების შეფუთვასთან დაკავშირებით;
ბ) განსაზღვრავს სატელევიზიო არხის სამხატვრო-შემოქმედებით პრინციპებს;
გ) უზრუნველყოფს იდეის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელებას, საკუთარი ან ჯგუფის მიერ შემუშავებული სცენარის ინტერპრეტირებას და სათანადო რეაგირებას;

დ) უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ მოსამზადებელი კონტენტის რეჟისურასა და მონტაჟს მაღალი პროფესიული ხარისხით;

6.3.6. პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის რეჟისორი:

ა) მუშაობს ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ჯგუფის მიერ შესაქმნელი კონტენტის იდეებსა და შინაარსზე;

ბ) უზრუნველყოფს იდეის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელებას, შემუშავებული სცენარის ინტერპრეტირებას და სათანადო რეაგირებას;

გ) უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ მოსამზადებელი კონტენტის რეჟისურასა და მონტაჟს მაღალი პროფესიული ხარისხით;

6.3.7. პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის რეჟისორის ასისტენტი:

ა) მუშაობს ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ჯგუფის მიერ შესაქმნელი კონტენტის იდეებსა და შინაარსზე;

ბ) ჩართულია ჯგუფის მიერ მოსამზადებელი კონტენტის რეჟისურასა და მონტაჟის პროცესში.

6.3.8. პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის მთავარი გრაფიკოს-დიზაინერი:

ა) პასუხისმგებელია ჯგუფის მიერ მომზადებული კონტენტის ვიდეომონტაჟსა და გრაფიკულ გაფორმებაზე;

ბ) ვიდეომონტაჟის წესებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებით ამზადებს სატელევიზიო არხის/სატელევიზიო გადაცემის შეფუთვისთვის განკუთვნილ მასალას, ვიდეოარტებსა და კალენდარული თარიღის შესაბამის ვიდეორგოლებს;

გ) მოიპოვებს მონტაჟისთვის საჭირო დამატებით ფოტო, ვიდეო და აუდიომასალას;

დ) თანამშრომლოს სხვა შესაბამის სამსახურთან არხის სტუდიების მაღალი ხარისხით შესაფუთად;

ე) ამზადებს წინადადებებს კონკრეტული გადაცემებისა და სატელევიზიო არხის გრაფიკულ გაფორმებაზე;

ვ) ვიდეომონტაჟის წესებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებით ამზადებს სატელევიზიო გადაცემების, მხატვრული/დოკუმენტურ/ანიმაციური ფილმების ანონსებს.

6.3.9. პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის ოპერატორი

ა) დროულად და ხარისხიანად ახორციელებს მითითებულ წინასწარ განსაზღვრულ სამუშაოს, უშუალოდ პასუხისმგებელია გადაღებული მასალის ვიზუალურ მხარეზე;

ბ) პროდუქტის შექმნისას უზრუნველყოფს ტექნიკური მხარის გამართულობას (განათება, მიკროფონი და ა.შ.);

გ) მონაწილეობას ღებულობს ჯგუფის/სამსახურის მიერ დაგეგმილი თემების, იდეების განხილვაში.

6.3.10. პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის გრაფიკოს-მემონტაჟე

ა) მთავარი გრაფიკოს-დიზაინერის მითითებით სასცენარო გეგმის დაცვით ამონტაჟებს ვიდეომასალას;

ბ) ვიდეოპროდუქტის შინაარსობრივი და მხატვრული ან ტექნიკური ხარისხის გაზრდის მიზნით, მთავარ გრაფიკოს-დიზაინერს სთავაზობს საკუთარ მოსაზრებებს და შეთანხმების შემთხვევაში ახორციელებს მათ;

გ) დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ვიდეოპროდუქტის შემოწმებისას აღმოჩენილ ტექნიკურ ხარვეზს და აცნობებს ჯგუფის ხელმძღვანელს, მთავარ გრაფიკოს-დიზაინერს.

6.3.11. პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის ანონსების მემონტაჟე:
ა) სასცენარო გეგმის დაცვით ამონტაჟებს ვიდეომასალას ანონსებისთვის;
ბ) დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ვიდეოპროდუქტის შემოწმებისას აღმოჩენილ ტექნიკურ ხარვეზს და აცნობებს ჯგუფის ხელმძღვანელს.

6.3.12. პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის სატელევიზიო გადაცემების ანონსების რედაქტორი:
ა) უზრუნველყოფს ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად სატელევიზიო გადაცემების ანონსების შინაარსის განსაზღვრას და განვითარების სამუშაოების დაგეგმვას, დაგეგმილი სამუშაოების კოორდინაციას;
ბ) მუდმივ კომუნიკაციაშია საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების ავტორებთან და კოორდინირებას უწევს ანონსების მაღალხარისხიან და დროულად მომზადებას, განსაზღვრულ შინაარსთან შესაბამისობას.

6.3.13. პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფის სატელევიზიო გადაცემების ანონსების პროდიუსერი:
ა) მუდმივ კომუნიკაციაშია საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების ავტორებთან და კოორდინირებას უწევს ანონსების მაღალხარისხიან და დროულად მომზადებას;
ბ) მონაწილეობას ღებულობს ჯგუფის/სამსახურის მიერ დაგეგმილი თემების, იდეების განხილვაში;
გ) უზრუნველყოფს ვიდეოპროდუქტის შემოწმებისას ტექნიკურ გამართულობას, აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზის დაუყოვნებლივ გამოვლენას და აცნობებს ჯგუფის/სამსახურის ხელმძღვანელს/უფროსს.

მუხლი 7. განსაკუთრებული დებულებები
7.1. სამსახურის ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე დებულება;

7.2. სამსახურში მუდმივ ან არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად დადგენილი წესის საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნენ სხვა პირები;
7.3. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი. სამსახურის უფროსის არ ყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სამსახურს ხელმძღვანელობს შემოქმედებითი მიმართულებით მენეჯერი ან/და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი;
7.4. სამსახურში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სამსახურს უფლება არ აქვს უარი განაცხადოს ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე;
7.5. ამ მუხლის 7.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურის უფროსი შესასრულებელი სამუშაოებს ანაწილებს სამსახურში დასაქმებულ სხვა პირებზე ან/და ასრულებს უშუალოდ;
7.6. სამსახურში დასაქმებულმა პირებმა თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და სამსახურში არსებული სხვა ხარვეზების შესახებ წერილობითი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ სამსახურის უფროსს;

7.7. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორისა და მოადგილეების წინაშე;
7.8. სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია სამსახურში დასაქმებული პირების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების ჯეროვნ და კეთილსინდისიერად შესრულებაზე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება
8.1. სამსახურის დებულების ძალადაკარგულად გამოცხადება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.